სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

04 დეკემბერი 2023

N 685/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. წედისში, ატენსა და ხიდისთავში შპს „ენ სი დი ალმონდს კომპანი N1“-ის სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ენ სი დი ალმონდს კომპანი N1“-ის მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. წედისში, ატენსა და ხიდისთავში სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 31 აგვისტოს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ენ სი დი ალმონდს კომპანი N1“-ის კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება, რის შედეგადაც, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79^7-ე მუხლის პირველი ნაწილით (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება) გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე, 2023 წლის 15 სექტემბერს, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №080194 ოქმი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შპს „ენ სი დი ალმონდს კომპანი N1“-ს გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. წედისსა და ატენში არსებულ 847 566 $მ^2$ (84,75 ჰა) ჯამური ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მომიჯნავე მიწის ნაკვეთების (ს/კ: 66.60.05.140; 66.60.05.141; 66.60.05.008; 66.60.05.137; 66.60.05.237; 66.60.05.214; 66.60.05.215; 66.60.05.216) ნაწილზე გაშენებული აქვს ნუშის ბაღები, რომელთა მოსარწყავად 73,91 ჰექტარზე მოწყობილია სამელიორაციო სისტემა. საქმიანობის ფარგლებში კომპანია გეგმავს ზემოაღნიშნული ტერიტორიის სრულად ათვისებას და ნუშის ბაღების ფართობის 10,84 ჰექტრით გაზრდას, რისთვისაც გათვალისწინებულია წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობა. საპროექტო ტერიტორიიდან ოთხი მიწის ნაკვეთი (ს/კ: 66.60.05.140; 66.60.05.141; 66.60.05.008; 66.60.05.137) წარმოადგენს შპს „ენ სი დი ალმონდს კომპანი N1“-ის, ორი მიწის ნაკვეთი (ს/კ: 66.60.05.237; 66.60.05.215) – შპს „ენ სი დი ალმონდს კომპანი N2“-ის, ხოლო ორი მიწის ნაკვეთი (ს/კ: 66.60.05.216; 66.60.05.214) – სახელმწიფო საკუთრებას. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 172 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ტანა – 614 მეტრით. საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 610 მეტრში მდებარეობს შპს „საქართველოს მელიორაციის“ ბალანსზე რიცხული დოეს-გრაკლის არხი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნუშის ნერგების მოსარწყავად წყალაღება ხორციელდება დოეს-გრაკლის მაგისტრალური არხიდან. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X-427346, Y-4646428. აღნიშნულ არხთან, სოფ. ხიდისთავში, შპს „ენ სი დი ალმონდს კომპანი N1“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 66.58.04.708) მოწყობილია ერთსართულიანი, მარტივი კონსტრუქციის სატუმბი სადგური, სადაც განთავსებულია ორი ერთეული გამანაწილებელი ტუმბო (ჯამურად 180 $მ^3$/სთ). წყალაღების წერტილიდან სარწყავი წყალი თვითდინებით გადადის სატუმბ სადგურში, საიდანაც

გამანაწილებელი ტუმბოების საშუალებით გროვდება შპს „ენ სი დი ალმონდს კომპანი N1“-ის მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 66.60.05.137) მოწყობილ წყლის ღია რეზერვუარში, რომლის მოცულობა შეადგენს 8 000 $მ^3$-ს. რეზერვუარიდან წყალი მეორე სატუმბი სადგურის (დამწნეხი ტუმბოები – 11 $მ^3$/სთ და 37 $მ^3$/სთ) მეშვეობით მიეწოდება ნუშის ბაღებში გათვალისწინებულ წვეთოვან სარწყავ სისტემას. სამელიორაციო სისტემისათვის მოწყობილი მაგისტრალური მიწისქვეშა მილსადენის საერთო სიგრძე შეადგენს 1 379 მეტრს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნუშის ნერგების მორწყვა დაგეგმილია სეზონურად, 7 თვის (მარტი-სექტემბერი) განმავლობაში, რისთვისაც დოეს-გრაკლის არხიდან აღებული იქნება ჯამურად 26 200 $მ^3$ წყალი. დოკუმენტის თანახმად, მარტის თვეში გათვალისწინებულია 1000 $მ^3$, ხოლო აპრილიდან სექტემბრის ჩათვლით – თითოეულ თვეში 4 200 $მ^3$ წყლის აღება. შპს „საქართველოს მელიორაციის“ კორესპონდენციის მიხედვით, სარწყავად ასაღები წყლის რაოდენობაზე შპს „ენ სი დი ალმონდს კომპანი N1“-ს 2023 წლის 16 მაისს გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება თეზი-ოკამის და დოეს-გრაკლის სერვის ცენტრთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ვინაიდან, სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციისთვის საჭირო ძირითადი ინფრასტრუქტურა (წყალშემკრები რეზერვუარი, მაგისტრალური მილსადენი, სატუმბი სადგურები) უკვე მოწყობილია, საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოებთან და ნიადაგზე, გრუნტზე, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, ასევე, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ ზემოქმედებასთან. რაც შეეხება სამელიორაციო სისტემის ფუნქციონირებას, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხმაურის გავრცელების ძირითადი წყაროებია სატუმბი დანადგარები და პერიოდული სარემონტო სამუშაოები. სატუმბ სადგურებში განთავსებული ტუმბოების წარმადობისა და უახლოეს მოსახლესთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება უმნიშვნელოა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო და მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენები, რომლებიც გროვდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა უზრუნველყოფილია მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სამელიორაციო სისტემის დერეფანი არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული ტერიტორიების სიახლოვეს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ხაზობრივი ნაგებობის 1 379 გრძივი მეტრიდან „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 489 გრძივი მეტრი წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს, კერძოდ, გორის სატყეო უბნის, სკრა-ბნავისის სატყეოს, კვარტალ №9-ს. ამასთან, სახელმწიფო ტყეში მდებარე 489 გრძივი მეტრი ზედდებაშია სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ: 66.60.04.368), რომელზეც სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ შპს „ენ სი დი ალმონდს კომპანი N1“-ზე გაცემულია ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება 49 წლის ვადით.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა გორის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის სპეციფიკისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. წედისში, ატენსა და ხიდისთავში შპს „ენ სი დი ალმონდს კომპანი N1“-ის სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ენ სი დი ალმონდს კომპანი N1“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ენ სი დი ალმონდს კომპანი N1“-ს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ენ სი დი ალმონდს კომპანი N1“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გორის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო